საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

27.12.2023

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე გამოსაშვები საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ესკიზების შესარჩევი კონკურსის შესახებ

განმცხადებელი:
საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1.
ტელ: (+995 32) 2 406 359, ცხელი ხაზი: (995 32) 2 406 406
ელფოსტა: currencydesign@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge

კონკურსის მიზანი:
ქართულ ფულს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. დროთა განმავლობაში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, იცვლებოდა მისი ფორმა, სტილი, წარწერები და გამოსახულებები.
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, XX-ე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ქვეყანაში ფულად-საკრედიტო რეფორმებთან ერთად დაიწყო მუშაობა პირველი სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შესაქმნელად, რაც 1995 წელს ლარის შემოღებით დაგვირგვინდა.
1995 წლის 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში გაშვებულ იქნა საქართველოს ეროვნული ვალუტა "ლარის" ბანკნოტები და მონეტები, ხოლო ამავე წლის 2 ოქტომბრიდან ლარი გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.
სიტყვა "ლარი" ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს განძს, ქონებას, ხოლო, "თეთრი", რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე, ძველი ქართული სამონეტო ტერმინია.

2025 წელს ლარის შემოღებიდან 30 წელი სრულდება.

ლარის შემოღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მართვადი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამ მოვლენის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი იწყებს მუშაობას აღნიშნულ თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის გამოსაშვებად, რისთვისაც აცხადებს კონკურსს შესაბამისი დიზაინის ესკიზების შერჩევის მიზნით.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ესკიზები უნდა წარმოადგინონ თანდართული პირობების მიხედვით.

კონკურსის ტიპი: ღია კონკურსი
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს - როგორც ფიზიკურ (რეზიდენტი/არარეზიდენტი), ასევე იურიდიულ (რეზიდენტი/არარეზიდენტი) პირს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ საკონკურსო პირობებს და წარმოადგენს დიზაინის ესკიზებს დადგენილ ვადებში, გარდა შესაბამისი დიზაინის ესკიზების შესარჩევად საქართველოს ეროვნულ ბანკში შექმნილი კომისიის წევრებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისა.

განცხადების გამოქვეყნების თარიღი: **2023 წლის 27 დეკემბერი.**

სამართლებრივი საფუძვლები:

- ✓ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2010 წლის 10 ივნისის N5 დადგენილებით დამტკიცებული „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების წესი“ (1-3 მუხლები);
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 7 თებერვლის N5 განკარგულებით დამტკიცებული „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების შესყიდვის წესი“ (1-4 მუხლები);
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 6 ოქტომბრის N21 განკარგულება „ლარის 30 წლისთავის თემაზე საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტის გამოსაშვებად მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების შესახებ“;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 13 სექტემბრის N166/04 ბრძანებით შექმნილი „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინის ესკიზების შერჩევის“ კომისიის 2023 წლის 18.12.2023 N4 ოქმი.

ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე გამოსაშვები
საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის
დიზაინის ესკიზების შესარჩევი კონკურსის პირობები

მუხლი 1. საკონკურსო პროექტის აღწერილობა:

კონკურსანტს მოეთხოვება ბანკნოტის დიზაინის ესკიზების მომზადება-წარმოდგენისას გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

1. ბანკნოტის მახასიათებლები:
   1.1. ნომინალი: 50 ლარი;
   1.2. **სუბსტრატი: პოლიმერი;**
   1.3. ზომები: 137 მმ x 68 მმ;
   1.4. ძირითადი ფერი: შერეული / მრავალფეროვანი
   (*ბანკნოტის ფერთა შეხამება მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს მიმოქცევაში არსებული ლარის ბანკნოტების ფერებისგან)*
   1.5. **პოლიმერული ბანკნოტისთვის განკუთვნილი** დამცავი ნიშნები:
      1.5.1. გამჭოლი ფანჯარა;
      1.5.2. ჰოლოგრამა და/ან მიკრო ოპტიკური ნიშანი;
      1.5.3. ოპტიკურად ცვალებადი მაგნიტური საღებავი დამატებითი ეფექტებით;
      1.5.4. მიკროსტრიქონები;
      1.5.5. რელიეფური (ორივე მხარეს) გამოსახულებები და წარწერები;
      1.5.6. თანმხვედრი გამოსახულება;
      1.5.7. ნიშანი სუსტი მხედველობის ადამიანებისათვის;
      1.5.8. ულტრაიისფერი ფოსფორესცენტული და ფლუორესცენტული ნათება ორ ან მეტ ფერში;
      1.5.9. ინფრაწითელი დაცვა;
      1.5.10. მაგნიტური საღებავი.

2. თემა: ლარის შემოღებიდან 30 წელი.

კონცეფცია -

   2.1. **ბანკნოტის ერთი მხარის დიზაინი** - თანამედროვე, უნდა ასახავდეს:
      2.1.1. ლარს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ფულის ერთეულს / ეროვნულ ვალუტას **(მთავარი სიუჟეტი);**
      2.1.2. საქართველოს, როგორც თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოს. სასურველია, წარმოჩინდეს ის მნიშვნელოვანი პროექტები და მიღწევები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა სფეროებში, რაც განხორციელდა ლარის შემოღებიდან დღემდე, გამოხატული ფრაგმენტებით, დეტალებით. ამ თვალსაზრისით:
         - მნიშვნელოვანია, გამოისახოს საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის შენობა, საქართველოსა და ევროპის დროშების გამოსახულებებით განათებული;
         - სასურველია, ფონად გამოყენებულ იქნეს ევროკავშირის ახალი რუკა, სადაც საქართველოც არის აღნიშნული;
         - შესაძლებელია დეტალებად, ფონებად ან/და კოლაჟის სახით გამოყენებულ იქნეს თანამედროვე ნაგებობები *(მაგ. ალი და ნინოს ძეგლი, თამადის ქანდაკება, მშვიდობის ხიდი, სხვ.)*
         - სხვ.

2.2. **ბანკნოტის მეორე მხარის დიზაინი -** ისტორიულ-ტრადიციული, უნდა ასახავდეს:

2.2.1. ქართული ფულის ისტორიას **(მთავარი სიუჟეტი)** კოლხური თეთრიდან ლარის შემოღებამდე გამოხატული ნუმიზმატიკური და ბონისტიკური მემკვიდრეობის ელემენტებით, ფრაგმენტებით (ამ თვალსაზრისით, კონკურსანტს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია, ეს ელემენტები, ფრაგმენტები გამოიყენოს ძირითად დეტალებად, ფონებად, ან/და კოლაჟის სახით,).

2.2.2. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ქვეყნის პოლიტიკურ, საფინანსო-ეკონომიკურსა და კულტურულ-საგანმანათლებლო მემკვიდრეობას. ამ თვალსაზრისით, კონკურსანტის შეხედულებისამებრ, შესაძლებელია, დეტალებად, ფონებად, ან/და კოლაჟის სახით გამოყენებულ იქნეს ელემენტები, ორნამენტები, ფრაგმენტები:

- ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშებიდან;
- არქეოლოგიური მემკვიდრეობიდან *(ვანის თამადა, თრიალეთის თასი, ოქროს ფონდში დაცული ნიმუშები, სხვ.)*;
- სამწიგნობრო-ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნის მემკვიდრეობიდან *(ვახტანგ VI-ის ვეფხისტყაოსანი, ვეფხისტყაოსნიდან ფრაზები, რომელიც ლარს, ქონებას, განძს უკავშირდება, სხვ.)*;
- ქართული დამწერლობის მემკვიდრეობიდან *(მაგ. დამწერლობა - ეპიგრაფიული, იერუსალიმში ქსენეთის ეზოში დაცული წარწერა -„ ქართველი“, სხვ.);*
- არგონავტებიდან;
- სხვ.

2.3. **მნიშვნელოვანია, რომ ბანკნოტის ორივე მხარის დიზაინი იძლეოდეს მთავარი თემის აღქმადობას, ჰქონდეს გარკვეული ბმა წარსულს, აწმყოს და მომავალს შორის.**

3. დანიშნულება: საკოლექციო.

4. მხატვრული შესრულების მოთხოვნები:

4.1. ბანკნოტის დიზაინი უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო ელემენტებს:

4.1.1. ვალუტის დასახელება და ნომინალური ღირებულება (50 ლარი) ორივე მხარეს ციფრებითა და სიტყვებით ქართულ და ინგლისურ ენებზე;

4.1.2. ემიტენტი ქვეყნისა და დაწესებულების დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე - „საქართველო“, „Georgia”; „საქართველოს ეროვნული ბანკი“, National Bank of Georgia”;

4.1.3. გამოშვების წელი - „2025“;

4.1.4. 6 ციფრიანი ნულოვანი ნუმერაცია: „000000“;

4.1.5. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერას თანამდებობის მითითების გარეშე *(კონკურსანტმა უნდა მიუთითოს ადგილი ხელმოწერისთვის);*

4.1.6. ლარის სიმბოლო “₾“ ან/და “50₾“;;

4.1.7. თემასთან დაკავშირებული ელემენტები, გამოსახულებები;

4.1.8. თემის აღმნიშვნელი წარწერები.

4.2. კონკურსანტს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეუძლია:

4.2.1. გამოიყენოს სხვა დამატებითი წარწერები, გამოსახულებები, რეკვიზიტ(ებ)ი, ან დეტალ(ებ)ი, გარდა კონკრეტული პიროვნების (მათ შორის კონკურსანტის) სახელის, გამოსახულების, საფირმო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კომერციული ორგანიზაციის დასახელების ან/და იდენტიფიკატორისა;

4.2.2. განსაზღვროს მთლიანი დიზაინის და/ან ცალკეული გამოსახულებების ორიენტაცია (ვერტიკალური/ჰორიზონტალური) ერთ ან ორივე მხარეზე;

4.2.3. ამ მუხლის 1.5 პუნქტში მითითებული დამცავი ნიშნებისთვის შეარჩიოს დეტალები ბანკნოტის დიზაინის შემადგენელი გამოსახულებებიდან ან/და შექმნას/გამოიყენოს ახალი გამოსახულებები;

4.3. წარმოდგენილი დიზაინი:

4.3.1. უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსო ბანკნოტის თემას, დანიშნულებას, კონცეფციას და მახასიათებლებს *(მნიშვნელოვანი);*

4.3.2. უნდა ითვალისწინებდეს პოლიმერული ბანკნოტის ბეჭდვის სპეციფიკას და მასში ეფექტურად უნდა იყოს ინტეგრირებული ამ მუხლის 1.5 პუნქტში მითითებული დამცავი ნიშნებისთვის განკუთვნილი დეტალები ***(სასურველი);***

4.3.3. უნდა იყოს სრულიად ახალი და განსხვავებული, არ უნდა იყოს ასლი ან მსგავსი სხვა ბანკნოტის დიზაინისა *(მნიშვნელოვანი).*

4.3.4. უნდა იყოს კონკურსანტის საკუთარი ნამუშევარი (ორიგინალი), ამასთან, დიზაინში სხვა რაიმე სიმბოლოს და/ან დეტალის გამოყენების შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ მითითებული უნდა იქნეს ასეთი სიმბოლოს და/ან დეტალის პირველწყარო *(მნიშვნელოვანი).*

5. ტექნიკური შესრულების მოთხოვნები:

5.1. საკონკურსო ესკიზები უნდა შესრულდეს A4 ზომის ფორმატზე, როგორც საპრეზენტაციო, ისე ბანკნოტის ორიგინალური ზომით. სასურველია, კონკურსანტმა წარმოადგინოს დიზაინის ესკიზების ვექტორული ფაილები TIFF, GPEG ან PNG ფორმატით მაღალი რეზოლუციით (სასურველია: 600 dpi ან მეტი, ფაილის ზომა არაუმეტეს 50მბ, მინ. რეზოლუცია 1000X1000 პიქსელი)

5.2. წარმოდგენილ უნდა იქნეს ფერადი ესკიზები.

6. ესკიზებს თან უნდა ერთვოდეს ბანკნოტის აღწერილობის ტექსტი ამ მუხლის **Error! Reference source not found.**4.3.4 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით და დიზაინის შინაარსის დეტალური და მკაფიო განმარტება.

7. კონკურსანტს შეუძლია, წარმოადგინოს არაუმეტეს 3 (სამი) განსხვავებული ესკიზი.

8. კონკურსანტმა ეროვნულ ბანკში უნდა წარმოადგინოს ქონებრივად და უფლებრივად უნაკლო ესკიზები. არცერთ მესამე პირს არ უნდა გააჩნდეს ქონებრივი, უფლებრივი ან ინტელექტუალური მოთხოვნები კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ესკიზების მიმართ.

მუხლი 2. საკონკურსო ესკიზების წარმოდგენის ფორმა და ვადა:

1. კონკურსანტმა საკონკურსო ესკიზები უნდა წარმოადგინოს თანდართული ფორმის (დანართი 1) განაცხადთან ერთად. განაცხადი უნდა შეიცავდეს კონკურსანტის პირად მონაცემებს (კონკურსის დასახელება, ფიზიკური პირის შემთხვევაში კონკურსანტის სახელი, გვარი, ხელმოწერა, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და საკონტაქტო მონაცემები) და თანხმობას/დასტურს საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

2. კონკურსანტმა საკონკურსო მასალა (ხელმოწერილი განაცხადი, დიზაინის ესკიზები, დიზაინის შინაარსის განმარტება და აღწერილობის ტექსტი) უნდა წარმოადგინოს **2024 წლის 8 იანვრიდან 2024 წლის 11 მარტის ჩათვლით.** ელექტრონული ფორმით შემდეგი პირობებით:
   2.1. საკონკურსო მასალა (დიზაინის ესკიზები, დიზაინის შინაარსის განმარტება და აღწერილობის ტექსტი, განაცხადი) უნდა მომზადდეს ცალკე ელექტრონულ ფაილებად (დასაშვებია .pdf, .jpeg ან .png ფორმატით) და გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: currencydesign@nbg.gov.ge; სათაურის ველში მითითებული უნდა იქნეს „საკოლექციო ბანკნოტის დიზაინის ესკიზების კონკურსი“.
   2.2. საქართველოს ეროვნულ ბანკში ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი საკონკურსო მასალების მიღება დასტურდება გამომგზავნის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებით ***(იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის დადასტურება არ მოხდა ფაილების გამოგზავნიდან 24 სთ-ის განმავლობაში, კონკურსანტი უნდა დაუკავშირდეს ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო ნომრებზე, რათა დადგენილ ვადაში მოხდეს მის მიერ გამოგზავნილი საკონკურსო მასალების მიღება).***

3. კონკურსანტს შეუძლია, საკონკურსო მასალა (ხელმოწერილი განაცხადი, დიზაინის ესკიზები, დიზაინის შინაარსის განმარტება და აღწერილობის ტექსტი) წარმოადგინოს მატერიალური ფორმით. ამ შემთხვევაში, აღნიშნული საკონკურსო მასალა ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი დიდი კონვერტით, რომელზეც უნდა მიუთითოს ადრესატი, ასევე, წარწერა „საკოლექციო ბანკნოტის დიზაინის საკონკურსო ესკიზები“. საკონკურსო მასალების მატერიალური ფორმით წარმოდგენა შესაძლებელია ყოველ სამუშაო დღეს **2024 წლის 8 იანვრიდან 2024 წლის 11 მარტის** ჩათვლით დილის 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: *ზვიად გამსახურდიას სანაპიროს ქ. 1, თბილისი 0114, საქართველო, საქართველოს ეროვნული ბანკი.*

მუხლი 3. ესკიზების განხილვისა და გამარჯვებული ესკიზების გამოვლენის ვადები და პირობები

1. საკონკურსო ესკიზების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება მათი წარმოდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, არაუგვიანეს **2024 წლის 14 მაისისა.**

2. საკონკურსო მასალების განხილვა და შეფასება მოხდება დიზაინის ესკიზების შერჩევის კომისიის მიერ.

3. კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსის მონაწილეს შესაძლებელია, მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაცია კომისიას უნდა მიეწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

4. **საკონკურსო ესკიზების წარმოდგენის პირობების დარღვევით, მათ შორის, წარმოდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ მიღებული საკონკურსო ესკიზები განხილვას არ ექვემდებარება.**

5. ესკიზების შეფასება-შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   5.1. **იდეა;**
   5.2. **კომპოზიციური გადაწყვეტა;**
   5.3. **წარმოდგენილი ესკიზების შესრულების ხარისხი.**

6. გამარჯვებული ესკიზების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო კომისიის მიერ ესკიზების განხილვის შედეგების გათვალისწინებით.

7. საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს დისკვალიფიკაცია გაუკეთოს კონკურსანტს, თუ:

7.1. კონკურსანტი არღვევს ან სრულად არ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს და წესებს;
7.2. კონკურსის მიმდინარეობის ან ესკიზების შერჩევის პროცედურების დროს ადგილი ექნება კონკურსანტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;
7.3. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აღმოჩნდება მცდარი.

8. **საქართველოს ეროვნულ ბანკს არ აქვს ვალდებულება კონკურსანტებს გააცნოს ინფორმაცია კონკურსში მონაწილე ესკიზების მიმართ გაკეთებული შეფასებების შესახებ.**

მუხლი 4. გამარჯვებული ესკიზებისთვის დაწესებული ჯილდო და მისი ანაზღაურების პირობები

1. კონკურსში გამარჯვებული ესკიზებისთვის (ბანკნოტის ორივე მხარის დიზაინისთვის) განსაზღვრულია **ფულადი ჯილდო 10000 (ათი ათასი) ლარი (მათ შორის ერთი მხარის დიზაინისთვის - 5000 ლარი)** კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, მოსაკრებლის და გამარჯვებულის სახელით განხორციელებული საპენსიო შენატანის ჩათვლით.

2. კონკურსში გამარჯვებული ესკიზების ავტორისთვის (კონკურსანტისთვის) აღნიშნული ფულადი ჯილდოს ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით, კონკურსანტის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე (ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადარიცხვის შემთხვევაში - შესაბამისი ექვივალენტით ევროთი ან აშშ დოლარით გადახდის დღეს მოქმედი ოფიციალური გადაცვლითი კურსით) საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე (www.nbg.gov.ge) კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების (რომლის ძირითადი პირობები მოცემულია დანართი 2-ში) გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ესკიზები შესრულებულია ერთზე მეტი ავტორის მიერ, აღნიშნული ფულადი ჯილდოს განაწილება მოხდება შესაბამისად, ავტორებთან შეთანხმებით.

მუხლი 5. საკონკურსო ესკიზების შემდგომი განკარგვის პირობები

1. **კონკურსში გამარჯვებული ესკიზები ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრება ამ ესკიზებისთვის განსაზღვრული ჯილდოს ავტორისთვის გაცემისთანავე,** რაც გულისხმობს, რომ:
   1.1. **საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ბანკნოტის გამოშვების და მისი პოპულარიზაციის მიზნებისათვის მათი შემდგომი გამოყენების და/ან მოდიფიცირების უფლება კონკურსანტთან შეთანხმების გარეშე.**
   1.2. საქართველოს ეროვნული ბანკი თავისუფალია ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების ან სხვა საავტორო, მომიჯნავე თუ ნებისმიერი დაკავშირებული უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და/ან პასუხისმგებლობისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ესკიზებს, ბანკნოტის გამოშვებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნებისათვის, გამოიყენებენ და/ან შეცვლიან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც ასევე თავისუფლდებიან ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა და/ან პასუხისმგებლობისგან.
2. ჩატარებული კონკურსის გამჭვირვალობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, კონკურსის დასრულების შემდეგ, კონკურსის შედეგებთან ერთად ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს კონკურსში მონაწილე ესკიზები მათი ავტორების სახელების მითითებით.

მუხლი 6. გამარჯვებული ესკიზების ავტორთან ურთიერთობა

კონკურსის დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის შემთხვევაში, გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია, წარმოადგინოს დიზაინის ესკიზების ვექტორული ფაილები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 კალენდარულ დღეში **ან/და** მონაწილეობა **მიიღოს ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის** ნომინალის ბანკნოტის დამზადებისას დიზაინის ელემენტების სრულყოფის პროცესში.

მუხლი 7. კონკურსის შედეგების გამოქვეყნების ადგილი და ფორმა

კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ–გვერდზე საბჭოს მიერ გამარჯვებული ესკიზების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. გამარჯვებულ კონკურსანტს კონკურსის შედეგები ეცნობება პირადად.

მუხლი 8. სხვა პირობები:

1. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის ჩატარების თაობაზე განცხადებაში მითითებულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი არცერთი ესკიზი, კონკურსი ითვლება არშემდგარად, ხოლო თუ წარმოდგენილი არცერთი ესკიზი არ იქნა მოწონებული და შერჩეული ობიექტური მიზეზებით, კონკურსი ითვლება დასრულებულად უარყოფითი შედეგით. ახალი კონკურსის გამოცხადების ან ამ მიზნით სხვა საშუალების ან მეთოდის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.
2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამოცხადებული კონკურსის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით. გამოცხადებული კონკურსის გაუქმების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება საკონკურსო ესკიზების წარმოდგენისათვის დადგენილი ვადის დასრულებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე და იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება.
3. საკონტაქტო ნომერი დამატებითი ინფორმაციისათვის:
   (+99532) 2 406 359 ელფოსტა: currencydesign@nbg.gov.ge

დანართი 1

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმა

საქართველოს ეროვნულ ბანკს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ესკიზების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე

მე .....,

კონკურსანტის სახელი, გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი საფირმო სახელწოდება და ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი)

ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ესკიზების შესარჩევ კონკურსში (შემდგომში - კონკურსი) მონაწილეობით, ვეთანხმები და ვაღიარებ კონკურსის წესებსა და პირობებს და **ვადასტურებ, რომ კონკურსში ჩემს მიერ წარმოდგენილი დიზაინის ესკიზების გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ უარს ვამბობ ნებისმიერ ინტელექტუალური საკუთრების ან სხვა საავტორო, მომიჯნავე თუ ნებისმიერი დაკავშირებულ უფლებასა და ასევე ამ უფლებებიდან გამომდინარე ნებისმიერ მოთხოვნაზე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ესკიზებს, ბანკნოტის გამოშვებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნებისათვის, გამოიყენებენ და/ან შეცვლიან საქართველოს ეროვნული ბანკი და/ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც ასევე თავისუფლდებიან ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა და/ან პასუხისმგებლობისგან.**

გამარჯვების შემთხვევაში, მე უარს ვამბობ დიზაინის ესკიზების ყოველ ეგზემპლარზე ან შემდგომში მისი ნებისმიერი სახით გამოყენებისას, ჩემი, როგორც ბანკნოტის დიზაინის ესკიზების ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლებაზე.

მე, ქვემოთ ხელმომწერი, ჩემს მიერ წარმოდგენილი დიზაინის ესკიზების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, თანხმობას გამოვთქვამ და საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლებას ვაძლევ, გამარჯვებულ ესკიზებთან მიმართებაში ჩემი, როგორც ბანკნოტის დიზაინის ესკიზების ავტორის სახელი გამოიყენოს საჯარო გამოსვლებში, განცხადებებში, ვებგვერდზე თუ ბეჭდვით საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაში, სატელევიზიო თუ რადიო განცხადებებში, ასევე ნებისმიერი სხვა ფორმით გაავრცელოს ის.

ჩემთვის ცნობილია და ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი დიზაინის ესკიზებში ნებისმიერი სიმბოლოს, დეტალის, ელემენტის დ ა.შ. გამოყენებაზე უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მეკისრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ესკიზები ქონებრივად და უფლებრივად უნაკლოა და ასეთი ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მეკისრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ჩემს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი დიზაინის ესკიზების კონკურსში გამარჯვებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში: (ა) წარვუდგინო ეროვნულ ბანკს ამ ესკიზების ვექტორული ფაილები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 კალენდარულ დღეში, (ბ) მოვახდინო ამ ესკიზების ცვლილება და შეცვლილი ესკიზები წარვუდგინო ეროვნულ ბანკს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 დღეში, (გ)

მონაწილეობა მივიღო ამ თემის ბანკნოტის დამზადებისას დიზაინის ელემენტების სრულყოფის პროცესში, განვიხილო მიღებული გადამუშავებული ესკიზები და/ან ბანკნოტის ნიმუშები და განხილვის შედეგები მივაწოდო ეროვნულ ბანკს შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში.

ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ჩემს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი დიზაინის ესკიზების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ხელი მოვაწერო „ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ესკიზების შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულისათვის ჯილდოს გადაცემისა და ამ ესკიზებთან დაკავშირებით დამატებითი პირობების შესრულების შესახებ“ ხელშეკრულებას ამ კონკურსით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, კონკურსის დასრულების შემდეგ, კონკურსის შედეგებთან ერთად ეროვნულმა ბანკმა მის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს კონკურსში მონაწილე ჩემი ესკიზები ავტორის სახელის მითითებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ესკიზები არ გამოცხადდება გამარჯვებულად.

ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ესკიზებისთვის განკუთვნილი ჯილდოს გადახდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვით:

_____

(გამარჯვებული ესკიზის ერთზე მეტი ავტორის შემთხვევაში, კონკურსანტებს შეუძლიათ, მიუთითონ სხვადასხვა საბანკო ანგარიში ამ ესკიზისათვის დაწესებული ჯილდოს ფარგლებში ავტორების მიხედვით პროპორციულად გადანაწილებულ თანხებთან ერთად).

კონკურსანტის სახელი და გვარი: _____ *(იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი ხელმძღვანელის სახელი და გვარი)*

კონკურსანტის პირადი ნომერი: _____
(იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი საფირმო სახელწოდება)

კონკურსანტის დაბადების თარიღი, მისამართი: _____
(იურიდიული პირის შემთხვევაში - მისი მისამართი)

კონკურსანტის საკონტაქტო ტელ: _____ ელ-ფოსტა: _____

კონკურსანტის ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

დანართი 2

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და გამარჯვებულ კონკურსანტ(ებ)ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები

ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ესკიზების შესარჩევი კონკურსის გამარჯვებულისათვის ჯილდოს გადაცემისა და ამ ესკიზებთან დაკავშირებით დამატებითი პირობების შესრულების შესახებ

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ეროვნული ბანკის მიერ ლარის შემოღებიდან 30 წლის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 50 ლარის ნომინალის ბანკნოტის (შემდგომში - ბანკნოტი) დიზაინის ესკიზების (შემდგომში - ესკიზები) შესარჩევ კონკურსში (შემდგომში - კონკურსი) გამარჯვებულ(ებ)ისათვის ჯილდოს გადაცემა და ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ ესკიზების ვექტორული ფაილების მიწოდება და/ან გამარჯვებულ(ებ)ის მიერ შესაბამისი ესკიზების დახვეწა-განვითარების პროცესში მონაწილეობა ამ ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

1. ეროვნული ბანკი გამარჯვებულ(ებ)ს გადასცემს 10000 (ათი ათასი) ლარს (ორივე მხარის დიზაინის ესკიზის შემთხვევაში) / 5000 (ხუთი ათასი) ლარს (მხოლოდ ერთი მხარის დიზაინის ესკიზის შემთხვევაში) კონკურსში გამარჯვებისათვის ჯილდოს სახით. აღნიშნული თანხა მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს და გამარჯვებულ(ებ)ის სახელით განხორციელებულ საპენსიო შენატანს.
2. თანხის გადახდა განხორციელდება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ(ებ)ის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე - ---------- ჩარიცხვით (ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადარიცხვის შემთხვევაში - შესაბამისი ექვივალენტით ევროთი ან აშშ დოლარით გადახდის დღეს მოქმედი ოფიციალური გადაცვლითი კურსით).
3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკნოტის გამოშვების ან/და მისი პოპულარიზაციის მიზნით შემდგომში გამოიყენოს გამარჯვებულ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ესკიზები ან/და განახორციელოს ამ ესკიზების მოდიფიცირება გამარჯვებულ(ებ)თან შეთანხმების გარეშე.
4. ეროვნული ბანკი თავისუფალია ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების, მათ შორის, საავტორო უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნებისგან და პასუხისმგებლობისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაშიც, თუ გამარჯვებულ ესკიზებს, ბანკნოტის გამოშვების მიზნებისათვის და მისი პოპულარიზაციისათვის გამოიყენებენ ან/და შეცვლიან ეროვნული ბანკის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც, ასევე, თავისუფლდებიან ზემოაღნიშნული მოთხოვნებისგან და პასუხისმგებლობისგან.
5. გამარჯვებულ(ებ)ი, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მათ მიერ წარმოდგენილ ესკიზებთან დაკავშირებით:

   ა) ეროვნული ბანკის სასარგებლოდ უარს აცხადებს ნებისმიერ საავტორო (ქონებრივ) უფლებაზე, ასევე, ამ უფლებებიდან გამომდინარე ნებისმიერ უფლებასა თუ მოთხოვნაზე და გადასცემს მას ეროვნულ ბანკს;

   ბ) თანხმობას აცხადებს და აღიარებს, რომ ესკიზებზე საავტორო ქონებრივი უფლებების მფლობელია ეროვნული ბანკი;

გ) უარს აცხადებს მოთხოვნის უფლებაზე, რომ მისი სახელი, როგორც ესკიზების ავტორ(ებ)ისა, მითითებულ იქნეს ესკიზების ყოველ ეგზემპლარზე ან მათი ნებისმიერი სახით გამოქვეყნებისას;

დ) თანხმობას აცხადებს, რომ მისი სახელი და გვარი, გამარჯვებულ ესკიზებთან მიმართებაში, ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული იყოს საჯარო გამოსვლებში, განცხადებებში, ვებგვერდსა თუ ბეჭდვით საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციაში, სატელევიზიო თუ რადიო განცხადებებში, ასევე, ეროვნული ბანკის შეხედულებისამებრ, ესკიზების ნებისმიერი ფორმით გავრცელების დროს.

6. გამარჯვებულ(ებ)ი, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მას არ გააჩნიათ ან/და არ შეიძლება გააჩნდეთ რაიმე სახის, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე პრეტენზია ეროვნული ბანკის მიმართ, გამარჯვებულ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ესკიზების გამოყენებასთან ან/და მოდიფიცირებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ესკიზებს, ბანკნოტის გამოშვებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნებისათვის, გამოიყენებს ან/და შეცვლის ეროვნული ბანკი.
7. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის მიერ ესკიზების გადამუშავებით შექმნილ ნებისმიერ ობიექტზე საავტორო და ქონებრივი უფლებების მფლობელია ეროვნული ბანკი და გამარჯვებულ(ებ)ი არ არის უფლებამოსილი, ეროვნულ ბანკს პრეტენზიები წარუდგინოს ამ უკანასკნელის მიერ შექმნილ ობიექტთან დაკავშირებით.
8. გამარჯვებულ(ებ)ი ადასტურებს, რომ მათ მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილ ესკიზებში ნებისმიერი სიმბოლოს, დეტალის, ელემენტის და ა.შ. გამოყენებაზე უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა ეკისრება თავად გამარჯვებულ(ებ)ს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9. გამარჯვებულ(ებ)ი, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ესკიზები ქონებრივად და უფლებრივად უნაკლოა და ასეთი ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება თავად გამარჯვებულ(ებ)ს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10. გამარჯვებულ(ებ)ი ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში:

ა) მონაწილეობა მიიღოს ესკიზების დახვეწა–განვითარებაში და განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები უსასყიდლოდ;

ბ) ეროვნულ ბანკს გადასცეს ესკიზებთან დაკავშირებული ყველა მასალა, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით (მათ შორის, ესკიზების ვექტორული ფაილ(ებ)ი);

გ) ეროვნულ ბანკს გადასცეს ესკიზებთან დაკავშირებული ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა ესკიზების დამუშავებისათვის;

დ) დახვეწოს ესკიზები და წარუდგინოს დამუშავებული ესკიზების/შესაბამისი ბანკნოტის ნიმუშების განხილვის შედეგები ეროვნულ ბანკს, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში.

11. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით, ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები, მხარეებისათვის ძალაში რჩება ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.
12. გამარჯვებულ(ებ)ის მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის ან თავიანთი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შეთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამარჯვებულ(ებ)თან სახელშეკრულებო ურთიერთობა და გამარჯვებულ(ებ)ს მოსთხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 3. სხვა დებულებები

1. ეს ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავა მხარეებმა უნდა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების და კონსულტაციების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს.
2. სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, საკითხს განიხილავენ საქართველოს საერთო სასამართლოები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ან ინგლისურ (უცხოელი კონკურსანტის შემთხვევაში) ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ (ან სამ) ეგზემპლარად, აქედან თითო ეგზემპლარი გადაეცემა გამარჯვებულ(ებ)ს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - ეროვნულ ბანკს.
5. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.